დანართი 2

სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურა

მუხლი 1. რეგულირების საგანი

1. ეს წესი არეგულირებს სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (შემდგომში - სტუ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს;

2. ეს წესი ეფუძნება სტუ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურების ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.

მუხლი 2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტის ჩარიცხვის პირობები:

1. სტუ-ში I, II და III საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხოს პირი, რომელსაც დაძლეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური.

2. სტუ-ში შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვის საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება, რომელსაც თან უნდა დაერთოს ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტები.

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდება სტუ-ს რექტორის ბრძანებით. ამავე ბრძანებით დგინდება სტუ-ში ჩარიცხვისათვის წარსადგენი დოკუმენტების მიღების ვადა. აღნიშნული ბრძანება ქვეყნდება საჯაროდ და სტუ-ს ვებ-გვერდზე.

მუხლი 3. სტუ-ში ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტები:

სტუ-ში პირველი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისათვის წარმოდგენილ უნდა იქნეს:

ა) დაინტერესებული პირის (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ასლი.

გ) ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი), ან განათლების დამადასტურებელი ის

დოკუმენტი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამთავრების გარეშე.

დ)ამ წესის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ საგანში/საგნებში მიღებული შეფასების/შეფასებების დამადასტურებელი დოკუმენტი.

II ან III საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში დამატებით უნდა წარმოდგენილი იქნეს წინა საფეხურის პროფესიული დიპლომი ან მასთან გათანაბრებული სხვა დოკუმენტი, ან არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 4. სტუ-ში პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე დაშვების საკონკურსო წინა პირობები

1. პროგრამაზე, სადაც მსურველთა რაოდენობა არ აღემატება მისაღები კონტინგენტის რაოდენობას, მსურველები ჩაირიცხებიან უკონკურსოდ.

2. პროგრამაზე, სადაც მსურველთა რაოდენობა აღემატება მისაღები კონტინგენტის რაოდენობას, მსურველები (კონკურსანტები) ჩაირიცხებიან გასაუბრებით ან ტესტირების წესით.

3. შედეგების გამოცხადებისთანავე კონკურსანტებს ეძლევათ აპელაციის საშუალება.

4. გასაუბრების ფორმასა და შინაარსს განსაზღვრავს სტუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილი შესარჩევი კომისია.

5. ტესტირების წესით სტუდენტთა ჩარიცხვის შემთხვევაში, ტესტირების პროცედურა და ტესტები წინასწარ შეთანხმდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

6. სტუ-ში ცალკეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პირველ საფეხურზე ჩარიცხვისას კონკურსის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმას, ვისაც ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ფარგლებში ცალკეულ საგანში/საგნებში მიღებული აქვს უფრო მაღალი შეფასება, კერძოდ:

   ა) ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისას ფიზიკასა და მათემატიკაში მიღებული უფრო მაღალი შეფასება უპირატესობას ანიჭებს შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისას: "კალატოზი", "მეფილე-მომპირკეთებლი", "მებათქაშე", "თაბაშირმუყაოს სპეციალისტი", "რკინა-ბეტონის სამუშაოთა მწარმოებელი (მეარმატურე, მეყალიბე, მებეტონე)", "მეტალოკრამიტის და რბილი სახურავების მომწყობი", "მღებავი", "თბოაირმომარაგება-ვენტილაციის

ტექნიკოსი", "ვენტილაციისა და კონდიცირების სისტემის მემონტაჟე", "ხურო", "მეიზოლაციე", "ზეინკალ-სანტექნიკოსი", "ჭაბურღილების ბურღვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების სპეციალისტი", "მყარი სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგ-ტექნიკოსი", "სამთო ელექტრომექანიკოსი", "სამთოტექნიკოსი", "მარკშაიდერიის ტექნიკოსი", "გვირაბგამყვანი", "სამთო ტექნიკის ექსპლუატაციის, რემონტისა და უსაფრთხოების სპეციალისტი", "სატრანსპორტო მეურნეობის საწარმოების უსაფრთხოების სპეციალისტი", "წარმოების უსაფრთხოების სპეციალისტი", "მეჩარხე", "ზეინკალი", "ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსი", "სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანებისა და მოწყობილობების ტექნიკოსი", "ორთქლგენერატორებისა და კომბინირებული სანთურების მომსახურების ოპერატორი", "შემდუღებელი", "ამწის მემანქანე", "ავტომობილის ზეინკალი", "საბაგირო გზების მონტაჟისა და რემონტის ტექნიკოსი", "საბაგირო გზების ექსპლუატაციის ოპერატორი", "ელმავლის (საშახტო) მემანქანე", "ექსკავატორის მემანქანე", "მემანქანე (საშახტო ამწევი დანადგარის მემანქანე)", "სატრანსპორტო ფირმებში ლოჯისტიკის ოპერატორი";

ბ) ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისას ქიმიასა და ბიოლოგიაში მიღებული უფრო მაღალი შეფასება უპირატესობას ანიჭებს შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისას: "სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტი", "ქიმიური და კვების მრეწველობის საწარმოების უსაფრთხოების სპეციალისტი", "ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტი", "გარემოს დაცვის ტექნიკოსი", "ნივთიერებებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტი";

გ) ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისას ქიმიასა და ფიზიკაში მიღებული უფრო მაღალი შეფასება უპირატესობას ანიჭებს შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისას: "ამფეთქებელი", "დანაფარების სპეციალისტი", "ლითონმცოდნე, ხარისხის კონტროლის სპეციალისტი", "შეცხობით მიღებული პროდუქციის სპეციალისტი", "ლითონური პროდუქციის ექსპერტიზის სპეციალისტი", "ნავთობისა და გაზის მეურნეობის ტექნიკოსი";

დ) ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისას ქიმიასა და გეოგრაფიაში მიღებული უფრო მაღალი შეფასება უპირატესობას ანიჭებს "მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისას.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყოველ შემდგომ საფეხურზე მსურველთა ჩარიცხვისას კონკურსის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება წინა საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის იმ კომპონენტებში მიღებულ შეფასებას, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდგომი საფეხურის

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის ათვისებისათვის. მეორე ან მესამე საფეხურის ისეთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისას, რომლებისთვისაც შესაბამისი პროგრამის სტანდარტით წინა საფეხური არაა გათვალისწინებული, კონკურსანტებს უპირატესობა მიენიჭებათ ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული წესით.

მუხლი 5. გადაწყვეტილება სტუ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება მე-3 მუხლში აღნიშნული ყველა დოკუმენტის წარდგენისა და მე-4 მუხლის მე-6/მე-7 პუნქტით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების საკონკურსო წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრის შემთხვევაში.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პირის ჩარიცხვის შესაძლებლობას მე-4 მუხლის მე-6/მე-7 პუნქტით განსაზღვრული წინა პირობების გათვალისწინებით, ადგენს შესარჩევი კომისია, რომლის წერილობითი დასკვნის საფუძველზე სტუ-ს რექტორი ბრძანებით იღებს გადაწყვეტილებას პირის სტუ-ში შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

3. ჩარიცხვიდან 3 დღის ვადაში ინფორმაცია სტუდენტთა ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ ეცნობება საინფორმაციო ცენტრს.